არ არსებობს გადამდები დაავადება თავისთავად და არც ცრურწმენა, თუმცა მე მომწონს ალ-ფა'ლ». ჰკითხეს: "რა არის "ალ-ფა'ლ?" მან უპასუხა: «კარგი სიტყვა

ანას ბინ მალიქი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «არ არსებობს გადამდები დაავადება თავისთავად და არც ცრურწმენა, თუმცა მე მომწონს ალ-ფა'ლ». ჰკითხეს: "რა არის "ალ-ფა'ლ?" მან უპასუხა: «კარგი სიტყვა».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ის გადამდები დაავადება, რომელსაც ჯაჰილიას დროის ხალხი მიიჩნევდა, თითქოსდა დაავადება თავისთავად გადადის ერთი ადამიანიდან მეორეზე ალლაჰის ბრძანებისა და განგების გარეშე, არის მცდარი და უსაფუძვლო რწმენა. და ასევე, თიარა მცდარი და უსაფუძვლოა. ეს გულისხმობს ცუდ ნიშნად მიჩნევას ნებისმიერი რამისგან, იქნება ეს მოსმენილი თუ დანახული. მაგალითად: ჩიტები ან ცხოველები, ფიზიკური ნაკლოვანების მქონე ადამიანები, რიცხვები, დღეები და სხვა მსგავსი რამ. მან ახსენა აფრენილი ჩიტებით მკითხაობა, რადგან ის ყველაზე მეტად გავრცელებული იყო უმეცრების პერიოდში. არსი იმაში მდგომარეობდა, რომ გარკვეული საქმის დაწყებისას, მაგალითად, მოგზაურობის ან ვაჭრობისას, ადამიანები ცას უშვებდნენ ჩიტს. თუ ის მარჯვნივ მიფრინავდა, ამას კარგ ნიშნად მიიჩნევდნენ და აგრძელებდნენ თავიანთ განზრახულ საქმეს. ხოლო თუ ჩიტი მარცხნივ მიფრინავდა, ამას ცუდ ნიშნად თვლიდნენ და თავიანთი განზრახვიდან თავს იკავებდნენ. შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განაცხადა, რომ მას "ალ-ფა'ლ" მოსწონს. რაც გულისხმობს, როცა ადამიანი კარგ სიტყვას ისმენს, რაც მას სიხარულსა და სიმშვიდეს ანიჭებს და ალლაჰის მიმართ კარგი იმედით აღავსებს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3422